ხელშეკრულება №8

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი .

16 ნოემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ააიპ ქ.თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახ. #14 ხელოვნების სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი **დირექტორის ნანა მეძმარიაშვილის სახით** და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ბეჟან ბერიანიძე პირადი # 24001025620 (შემდგომში შემსრულებელი), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია ჩამოწერილი ამორტიზირებული ქონების ნარჩენების გატანა ქ.თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე სატვირთო ავტომობილით ფორდი BLB 559 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 კლასიფიკაციის კოდი CPV 90512000

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 87,50 (ოთხმოცდა შვიდი ლარი და50 თეთრი) ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში საკუთარი სახსრებიდან.

2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **10 სამუშაო დღის ვადაში.**

3.2 შესყიდვის განხორციელების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების ან მიღება–ჩაბარების აქტის წარდგენას.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტი მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

4.3 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის** __31__ დეკემბრამდე

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის გათვალისწინებით.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

7. სხვა პირობები

7.1 სადავო საკითხის არსებობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით;

7.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

"შემსყიდველი"	"შემსრულებელი"
ააიპ ქ.თბილისის მერიის დ.ანდღულაძის	ფიზიკური პირი ბეჟან ბერიანიძე
სახ. #14 ხელოვნების სკოლა	პირადი # 24001025620
საიდ.კოდი202053295	ბანკი: საქართველოს ბანკი BAGAGE22
მისამართი:დიღ/მასივი1კვ ,3-ა კორპ	ანგ.ნომერი: GE94BG0000000301194400
	მისამართი: კასპი, სოფ. ლამისყანა

დირექტორი: ნანა მემმარიაშვილი

მიღება–ჩაბარების აქტი#5

ქ. თბილისი

16 ნოემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ააიპ ქ.თბილისის მერიის დ. ანდღულაძის სახ. #14 ხელოვნების სკოლა (შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი **დირექტორის ნანა მეძმარიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ბეჟან ბერიანიძე (შემსრულებელი), ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა ჩაიბარა შემსრულებლისგან შესრულებული სამუშაო(ჩამოწერილი ქონების ნარჩენების გატანის მომსახურება თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე) მხარეთა შორის 2016 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული #8 ხელშეკრულების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 87,50 (ოთხმოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარს

რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

"შემსყიდველი"

ააიპ დ. ანდღულაძის სახ.#14 ხელოვნების სკოლა

საიდ.კოდი:202053295

დირექტორი: ნანა მეძმარიაშვილი

"შემსრულებელი"

ფიზიკური პირი
ბეჟან ბერიანიძე

პირადი # 24001025620